

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2024 წლის 17 ოქტომბრის სხდომის
ოქმი # 8

სხდომას ფაკულტეტის საბჭოს 31 წევრიდან ესწრებოდა 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან შემოსული სახელმძღვანელოებისა და თარგმანის საუნივერსიტეტო კონკურსისთვის ფაკულტეტიდან წარსადგენი სახელმძღვანელოები/სათარგმნი ლიტერატურის დამტკიცება
2. სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულებიდან შემოსული სახელმძღვანელოებისა და თარგმანის საუნივერსიტეტო კონკურსისთვის ფაკულტეტიდან წარსადგენი სახელმძღვანელოები/სათარგმნი ლიტერატურის დამტკიცება
3. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებიდან შემოსული სახელმძღვანელოებისა და თარგმანის საუნივერსიტეტო კონკურსისთვის ფაკულტეტიდან წარსადგენი სახელმძღვანელოები/სათარგმნი ლიტერატურის დამტკიცება
4. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან შემოსული სახელმძღვანელოებისა და თარგმანის საუნივერსიტეტო კონკურსისთვის ფაკულტეტიდან წარსადგენი სახელმძღვანელოები/სათარგმნი ლიტერატურის დამტკიცება
5. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტების გიორგი გოგსაძისა და ნინო მაისურაძის სადისერტაციო ნაშრომების დაცვის თარიღის განსაზღვრა.
6. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ურბანისტიკა“ ამოღების შესახებ
7. ერთჯერადი ცვლილებები კურიკულუმში
8. ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესსა და ბაკალავრიატის ყველა პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში
9. ცვლილებები „მსოფლიოს სოციალურ - პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამაში
10. საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის დამტკიცება

11. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის - „სოციალური მეცნიერებები: საქართველოს კვლევები“ დამტკიცება.

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანების შესახებ. ს. დუნდუას განცხადებით, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოულია პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებიდან განცხადება, რომლის საფუძველზეც, მოცემული მიმართულებიდან კონკურსის ფარგლებში წარდგენილია პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის სახელმძღვანელო: **პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში**; ახალი სახელმძღვანელოს შექმნა დაგეგმილია პოლიტიკის მეცნიერების კურიკულუმის არჩევითი კურსისთვის 'პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში' (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 400-450).

აზრი გამოთქვას: ს. დუნდუამ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანების ფარგლებში წარდგენილი სახელმძღვანელო: **პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში** (ავტორი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე).

მოისმინეს: 2 ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში სოციოლოგია/სოციალური მუშაობის მიმართულებიდან შემოსულია განაცხადი ორი სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე. კერძოდ: **სოციოლოგიის შესავალი** (ნაწილი პირველი). განმცხადებელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი; სახელმძღვანელოს ავტორები: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალი; ახალი სახელმძღვანელო სოციოლოგიის საბაკალავრო

პროგრამის სავალდებულო საგნისთვის „შესავალი სოციოლოგიაში“ (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 200); **სოციალური მუშაობის შესავალი** (ნაწილი პირველი) - განმცხადებელი: ასოცირებული პროფესორი: სალომე ნამიჭიშვილი; სახელმძღვანელოს ავტორები: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალი; ახალი სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნისთვის „შესავალი სოციალურ მუშაობაში“ (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 200)

აზრი გამოთქვას: მ. მაცაბერიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა.

დაადგინეს: დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანების ფარგლებში წარდგენილი სახელმძღვანელოები: **სოციოლოგიის შესავალი** (ნაწილი პირველი); სახელმძღვანელოს ავტორები: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალი (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 200); **სოციალური მუშაობის შესავალი** (ნაწილი პირველი) სახელმძღვანელოს ავტორები: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების აკადემიური პერსონალი (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 200)

მოისმინეს: 3 ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების მიერ წარდგენილია განაცხადი **მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია** (ნაწილი პირველი) სახელმძღვანელოს მომზადების თაობაზე. განმცხადებელი: პროფესორი თამარ დოლბაია; სახელმძღვანელოს ავტორები: საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების აკადემიური პერსონალი; ახალი სახელმძღვანელო საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნისთვის „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 400-450).

აზრი გამოთქვას: თ. დოლბაიამ, რ. გაჩეჩილაძემ.

დაადგინეს: დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური

სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანების ფარგლებში წარდგენილი სახელმძღვანელო მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (ნაწილი პირველი); სახელმძღვანელოს ავტორები: საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების აკადემიური პერსონალი; ახალი სახელმძღვანელო საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგნისთვის „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (გვერდების სავარაუდო რაოდენობა 400-450).

მოისმინეს: 4 ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან შემოსულია განაცხადი **‘ნატო - ცივი ომიდან უკრაინამდე, მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ალიანსის ისტორია’**, (ავტორი სტენ რუნინგი, 2024 წლის გამოცემა) თარგმანის შესახებ. განმცხადებელი: კონსტანტინე შუბითიძე, ასოცირებული პროფესორი. სათარგმნი სახელმძღვანელო საფაკულტეტოს არჩევითი კურსისთვის „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია“ (ორიგინალი ტექსტის გვერდების რაოდენობა 360)

აზრი გამოთქვას: ზ. დავითაშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ.

დაადგინეს: დასამტკიცებლად წარედგინოს აკადემიურ საბჭოს ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის გამოცხადების თაობაზე რექტორის 2024 წლის 19 ივლისის N198/01-01 ბრძანების ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან წარდგენილი სათარგმნი სახელმძღვანელო **‘ნატო - ცივი ომიდან უკრაინამდე, მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ალიანსის ისტორია’**, (ავტორი სტენ რუნინგი, 2024 წლის გამოცემა); თარგმანის განმახორციელებელკი: კონსტანტინე შუბითიძე, ასოცირებული პროფესორი (ორიგინალი ტექსტის გვერდების რაოდენობა 360)

მოისმინეს: 5 ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელი იყო დოქტორანტების დისერტაციის დაცვის თარიღები.

ა) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ ნინო მაისურამის სადისერტაციო ნაშრომის “ერის ცნების გააზრება საქართველოში 1893-1918 წლებში”

(სამეცნიერო ხელმძღვანელი-პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე) სამივე რეცენზია არის დადებითი. შესაბამისად, შესაძლებელია დაცვის თარიღის განსაზღვრა. დაცვა დაინიშნოს 2024 წლის 5 ნოემბერს 17:00 საათზე (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ დოქტორანტ გიორგი გოგსაძის სადისერტაციო ნაშრომის „პოპულიზმი საქართველოში: პოლიტიკური პარტიების 2016 და 2020 წლების წინასაარჩევნო გზავნილების დისკურსული ანალიზი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი გია ჟორჟოლიანი); სამივე რეცენზია არის დადებითი. შესაბამისად, შესაძლებელია დაცვის თარიღის განსაზღვრა. დაცვა დაინიშნოს 2024 წლის 15 ნოემბერს 17:00 საათზე (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

აზრი გამოთქვას: მ. მაცაბერიძემ, თ დოლბაიამ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების დისერტაციის დაცვის თარიღებად განისაზღვროს:

ა) ნინო მაისურაძე - 2024 წლის 5 ნოემბერი 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

ბ) გიორგი გოგსაძე - 2024 წლის 15 ნოემბერი 17:00 საათი (მის: თსუ, I კორპუსი, 115 აუდიტორია).

მოისმინეს: 6. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის - „ურბანისტიკა“, ამოღების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ, რადგანაც ამ პროგრამას გაუვიდა აკრედიტაციის ვადა.

აზრი გამოთქვას: რ. გაჩეჩილაძემ, ს. დუნდუამ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ამოღებულ იქნეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ურბანისტიკა“, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან. საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ს აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 7. თ. დოლბაიამ ისაუბრა კურიკულუმში ერთჯერადი ცვლილებების შესახებ (დანართი 2).

აზრი გამოთქვას: ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ;

დაადგინეს: ერთჯერადად განხორციელდეს ცვლილებები სხვადასხვა პროგრამის კურიკულუმში.

მოისმინეს: 8. ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამასა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებში შეფასების სისტემის ცვლილებისა და სასწავლო კურსის - „საბაკალავრო ნაშრომი“, წინაპირობის შეცვლის აუცილებლობის თაობაზე, ისაუბრა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვას: ზ. დავითაშვილმა, ს. დუნდუამ, რ. გაჩეჩილაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამასა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსების შეფასების სისტემაში, სიტყვათა წყობა „ზეპირი პრეზენტაცია“, შეიცვალოს - „კომისიის შეფასებით“;
2. ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის - „საბაკალავრო ნაშრომი“, წინაპირობად განისაზღვროს - მინიმუმ 200 კრედიტის დაგროვება.

მოისმინეს: 9. „მსოფლიოს სოციალურ - პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამაში აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე ისაუბრა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, რ. გაჩეჩილაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის მოდიფიკაცია და დაემატოს წინადადება *„ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების ტენდენციების გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ“;*
2. პროგრამის სილაბუსებში ჩასწორდეს სწავლის შედეგები, ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით;
3. ქვემოთჩამოთვლილ სასწავლო კურსებზე დაშვებულ იქნას წინაპირობები: „შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში“ გახდეს წინაპირობა საგნისა -“ საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“ , „მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია“ გახდეს წინაპირობა საგნისა - „საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია“, ხოლო „ზოგადგეოგრაფიული საველე საწარმოო პრაქტიკა“ გახდეს წინაპირობა „ეკონომიკური, რეკრეაციული და ტურიზმის გეოგრაფიის (საველე პრაქტიკა)“, მხოლოდ სპეციალობის სტუდენტთათვის.

მოისმინეს: 10. საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის ანგარიშის დამტკიცების საჭიროებაზე საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა

დაადგინეს: დამტკიცდეს საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის ანგარიში

მოისმინეს 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ დოლბაიამ, საბჭოს წევრებს გააცნო სააკრედიტაციოდ მომზადებული ახალი საბაკალავრო პროგრამა:

„სოციალური მეცნიერებები: საქართველოს კვლევები“ (Social Sciences: Georgian Studies),
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (Bachelor of Social
Sciences).

აზრი გამოთქვას: ს.დუნდუამ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ. პროფესორმა მ.
მაცაბერიძემ თქვა, რომ ის არ უჭერს მხარს პროგრამის დამტკიცებას, რომელიც მისი აზრით,
არის ალტერნატივა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისა და კენჭისყრამდე
დატოვა სხდომა.

დაადგინეს: დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური
მეცნიერებები: საქართველოს კვლევები“ („Social Sciences: Georgian Studies“), მისანიჭებელი
კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (Bachelor of Social Sciences) და
საკრედიტაციო პაკეტი გადაეცეს თსუ - ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს,
აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე



17 თებერვალი 2024

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო


ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა



პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე



ალექსანდრე კუხიანიძე




ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია


საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია



გიორგი გოგსაძე


რევაზ გაჩეჩილაძე



ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი




კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაკაჭიშვილი



ამირან ბერძენიშვილი



ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მასიაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

~~სტუდენტური თვითმმართველობა~~

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ სალომე დუნდუას

განცხადება

გთხოვთ განიხილოთ უნივერსიტეტის სახელმძღვანელოების შექმნის
კონკურსში ჩემს მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოს პროექტი: „პოლიტიკური
იდეოლოგიები საქართველოში“.

წარმოგიდგენთ სახელმძღვანელოს დეტალურ ანოტაციას და სავარაუდო
სარჩევს.

პატივისცემით,

მალხაზ მაცაბერიძე

27.09.2024

მ. მაცაბერიძე

27

25 256/30 6
09
ს. მაცაბერიძე 094

პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში

სახელმძღვანელოს ანოტაცია

„პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში“ არის არჩევითი სალექციო კურსი პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაში. გამოდის ორ სემესტრში ერთხელ. ბოლო ორი გამოტანის დროს აირჩია დაახლოებით 70-მა სტუდენტმა.

სალექციო კურსის მიზანია:

- სტუდენტებს შეასწავლოს საქართველოში პოლიტიკური იდეოლოგიების ჩამოყალიბების და დამკვიდრების ისტორიული პროცესი;
- წარმოაჩინოს საქართველოში მიმდინარე იდეოლოგიური ბრძოლა;
- აჩვენოს კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში განსხვავებული იდეოლოგიური მიმდინარეობების დევნა;
- იდეოლოგიების რენესანსი და ამ პროცესის თავისებურებანი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ;
- განიხილოს პოლიტიკური იდეოლოგიები თანამედროვე საქართველოში.

პოლიტიკური იდეოლოგიების საქართველოში გავრცელება დაიწყო მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან და წარმოადგენს ქართული პოლიტიკური აზროვნების ევროპეიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოში ფაქტობრივად გავრცელებული იყო იმ დროს დასავლეთში არსებული ყველა პოლიტიკური იდეოლოგია. ამასთან ხდებოდა არა მხოლოდ ამ იდეოლოგიების პროპაგანდა, არამედ იქმნებოდა ორიგინალური თეორიული ნაშრომებიც.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი იქნება საქართველოში პოლიტიკური იდეოლოგიების გავრცელების გზები. სხვადასხვა იდეოლოგიური კონსტრუქციები შემოჰქონდათ უცხოეთში განათლება მიღებულ ადამიანებს - თავიდან რუსეთიდან, შემდეგ კი ევროპის ქვეყნებიდან. ნაჩვენებია იქნება, რომ თავიდან იდეოლოგიების

გამავრცელებლები იყვნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. გავრცელების გზა იყო ჟურნალ-გაზეთები და პუბლიცისტიკა. ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ევროპაში მიმდინარე იდეოლოგიურ პროცესებს და რიგი, მათთვის საყურადღებო ტექსტები ქართულად ითარგმნებოდა კიდევ.

საქართველოში გავრცელებული პირველი იდეოლოგიური კონსტრუქციები იყო ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი. ლიბერალური იდეების პირველ გამავრცელებლად მიიჩნევა სოლომონ დოდაშვილი, ხოლო დამამკვიდრებლად ილია ჭავჭავაძე. ქართული კონსერვატიზმის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენლად კი ალექსანდრე ორბელიანი უნდა მივიჩნიოთ. ორივე აღნიშნული იდეოლოგია ქართულ სინამდვილეში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალიზმთან. ამიტომ საქართველოში შეიძლება ვილაპარაკოთ პირველ რიგში ლიბერალური ნაციონალიზმის გავრცელებაზე. ქართული კონსერვატიზმი ალექსანდრე ორბელიანთან კი მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს ევროპეიზაციის იდეას.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო რუსეთიდან იდეოლოგიური კონსტრუქციების შემოტანის ფენომენს. ესაა პირველ რიგში ნიჰილიზმი, რომელიც უარყოფდა ეროვნულ ფასეულობებს და ხალხოსნობა, რომელიც მთლიანად მორგებული იყო რუსულ პირობებს. ნაჩვენები იქნება ის მძიმე ბრძოლა, რაც საქართველოში გაიშალა ე. წ. კოსმოპოლიტებსა და პატრიოტებს შორის.

მე-19 საუკუნის ბოლოდან საქართველოში იდეოლოგიების მატარებელი პოლიტიკური პარტიები გახდნენ. სახელმძღვანელოში ნაჩვენები იქნება მემარცხენე იდეოლოგიების დომინირების მიზეზები. წარმოჩენილი იქნება ქართველ ანარქისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მიმდინარე ბრძოლა, ქართული ანარქიზმში არსებული ეროვნული და კოსმოპოლიტური მიმდინარეობები. ასევე განხილული იქნება საქართველოში შემუშავებული იდეოლოგიებს - სოციალისტ-ფედერალიზმი და ეროვნული-დემოკრატია. სილაბუსში დამატების სახით განხილული იქნება ქართული ფემინიზმის სათავეები.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ იდეოლოგიურ სიტუაციას. პირველ რიგში ესაა სოციალისტური პარტიების და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიის

შემობრუნება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისკენ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეიმუშავეს მთელი კონცეფცია ერი/სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიის დამკვიდრების გზით სოციალიზმზე გადასვლის შესახებ.

სახელმძღვანელოში ნაჩვენები იქნება ბოლშევიზმი როგორც იდეოლოგია და მისი ძალადობრივი დამკვიდრება საქართველოში. ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრება და ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სპექტრის განადგურების პროცესი.

საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პირობებში პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა არსებობა გააგრძელეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მეშვეობით, რომლებიც ათწლეულების მანძილზე უშვებდნენ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს. ემიგრაციაში ხდებოდა საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებული მოვლენების იდეოლოგიური გააზრება და ახალი იდეოლოგიური კონსტრუქციების შექმნა. სახელმძღვანელოში პირველ რიგში განხილული იქნება ქართული სოციალ-დემოკრატების ნაშრომები ემიგრაციაში და ასევე ემიგრაციაში დამუშავებული ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმი.

სახელმძღვანელოს ბოლო თავში წარმოდგენილი იქნება იდეოლოგიური სიტუაცია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ და ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული იდეოლოგიური პროცესები.

სახელმძღვანელო „პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში“ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღნიშნული საგნის სწავლებას და სტუდენტებს გაუადვილებს ორიენტაციას წარსულში და დღეს მიმდინარე იდეოლოგიურ პროცესებში.

სახელმძღვანელოს შესწავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება აღწეროს და განმარტოს საქართველოში პოლიტიკური იდეოლოგიების დამკვიდრებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები; ეცოდინება საქართველოში წარსულსა და დღეს არსებული იდეოლოგიები და მათთვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშნები, ამ იდეოლოგიების ძირითადი წარმომადგენლები. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების გამოყენებით, შეეძლება არგუმენტირებულად იმსჯელოს

საქართველოში პოლიტიკური იდეოლოგიების დამკვიდრებისა და გავრცელების ძირითადი ეტაპებისა და თეორიების შესახებ.

პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში

სახელმძღვანელოს სავარაუდო სარჩევი

სახელმძღვანელო დაიწერება არსებული სილაბუსის შესაბამისად და წარმოდგენილი იქნება შემდეგი თემები:

- პოლიტიკური იდეოლოგიები: დამახასიათებელი ნიშნები, კლასიფიკაცია და ისტორიული განვითარება;
- ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიული განვითარება და თავისებურებანი;
- ქართული ნაციონალიზმის დაბადება;
- ქართული კონსერვატიზმის სათავეებთან;
- ლიბერალიზმის სათავეები საქართველოში;
- ეროვნული ნიჰილიზმი (გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე ჯაბადარი) და მასთან ბრძოლა;
- რუსული იდეოლოგიები საქართველოში (ხალხოსნები, სოციალისტ-რევოლუციონერები);
- დასების თეორია, „მესამე დასი“: ქართული სოციალ-დემოკრატია;
- ანარქიზმი საქართველოში;
- სოციალისტ-ფედერალიზმი;
- ეროვნული-დემოკრატია როგორც იდეოლოგია;
- სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია საქართველოში (1918-1921) და ემიგრაციაში;
- ბოლშევიზმი და საბჭოური კომუნისმი საქართველოში;
- ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმი;
- პოლიტიკური იდეოლოგიები თანამედროვე საქართველოში.

სახელმძღვანელოს სავარაუდო გვერდების რაოდენობა - 450 გვერდი

ძირითადი ლიტერატურა, რომელსაც დაემყარება სახელმძღვანელო

ძირითადი ლიტერატურა, რომელსაც დაემყარება სახელმძღვანელო მითითებულია არსებულ სილაბუსში. სახელმძღვანელოზე მუშაობის პერიოდში მოძიებული იქნება ახალი ლიტერატურა:

- მიხეილ გაფრინდაშვილი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. თბ., 2002
- ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტომი 4. თბ., 2013
- პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე. კონსერვატიზმის ისტორია. თბ., 2011
- ფილადელფოს კიკნაძე. სიყვარული მამულისა. თბ., 1996
- ალექსანდრე ორბელიანი. სიტყვა მამულის ტრაპეზზედ. თბ., 1999
- ლიბერალიზმი და საქართველო. თბ., 2020
- ვახტანგ გურული. საქართველოს ახალი ისტორია. წიგნი 2., თბ., 2018
- ვახტანგ გურული. საქართველოს ახალი ისტორია. წიგნი 4., თბ., 2021
- დ. შველიძე. პოლიტიკური პარტიები საქართველოში. თბ., 2022
- ნ. ჟორდანიას. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 2016
- ს. დანელია. ტერმინი „ეროვნული დემოკრატია“ – „საქართველო“, 1921 წ. 27 იანვარი N 19,
- ს. კეცია. ეროვნული დემოკრატია - „საქართველო“, 1917
- ა. ხახანაშვილი. ჩვენი იდეოლოგიისათვის - „საქართველო“, 1919 წ. 15 აპრილი, N 83
- ნ. ჟორდანიას. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 2016
- მალხაზ მაცაბერიძე. ქართული ინტეგრალური ნაციონალიზმის სათავეებთან - „პოლიტიკა“, 2020, N 2

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქ-ნ სალომე დუნდუას

ქ-ნო სალომე, განსახილველად წარმოგიდგენთ **სოციოლოგიის შესავლის** სახელმძღვანელოს პროექტს, მოთხოვნილი დოკუმენტების შესაბამისად.

სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებს სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა პროფესორი.

ამირან ბერძენიშვილი,
სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი



იაგო კაჭკაჭიშვილი,
სოციოლოგიის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი



29 სექტემბერი, 2024 წელი

სოციოლოგიის შესავალი (სახელმძღვანელო)

ანოტაცია

სოციოლოგიის შესავლის სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია სტუდენტებს გააცნოს: სოციოლოგიის როგორც მეცნიერების ძირითად კატეგორიები, ცნებები, ძირითადი სოციოლოგიური მიმართულებები, სოციოლოგიური მიდგომის სპეციფიკა, სოციალური მეცნიერებისათვის დამახასიათებელი თეორიული დილემები, თავად სოციალური თეორიების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, სოციოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა, ის სოციალური და კულტურული პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია თანამედროვე გლობალური მსოფლიოსთვის; აგრეთვე, ემპირიული სოციოლოგიური კვლევის სპეციფიკა და მისი როლი და დანიშნულება საზოგადოების განვითარებაში.

ზემოთქმული მიზნიდან გამომდინარე, სოციოლოგიის შესავლის სახელმძღვანელო დაფარავს სოციოლოგიური ცოდნის სამივე დონეს - სოციალურ თეორიებს, დარგობრივ სოციოლოგიას და სოციალური კვლევის მეთოდებს. უფრო კონკრეტულად: სახელმძღვანელო ბაკალავრიატის პირველი საფეხურის სტუდენტებს, მათთვის ადაპტირებული ზოგადი სახით, გააცნობს:

1. კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, რომლებიც კლასიფიცირდება ორი კრიტერიუმის მიხედვით: ა) ერთი მხრივ, სტრუქტურაზე, ხოლო, მეორე მხრივ აქტორზე ორიენტურებული თეორიები და, ასევე, თეორიები, რომლებიც სტრუქტურისა და აქტორის დუალიზმის დაძლევის ცდილობენ (ანუ, მაკრო, მიკრო და მედიატორიული სოციალური თეორიები) ბ) მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორიები.
2. დარგობრივ, ე.წ. საშუალო რანგის სოციოლოგიებს, რომლებიც ორიენტირდება ამა თუ იმ სფეროზე, როგორებიცაა: ოჯახის სოციოლოგია, დანაშაულის სოციოლოგია, ხელოვნების სოციოლოგია, კულტურის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია, განათლების სოციოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია და სხვ.
3. სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ორ ჯგუფს, როგორებიცაა: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები; მათ შორის არსებით განსხვავებებს და მათი გამოყენების მიზნობრიობას ამა თუ იმ სოციალური პრობლემის კვლევაში.
4. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში განმარტებული იქნება ყველა ის ძირითადი ცნება, რაც სოციოლოგიისთვის ფუნდამენტურია და სოციოლოგიის საგანს შემოხაზავს. ეს ცნებების: საზოგადოება, კულტურა და სუბკულტურები, სოციალური სტრუქტურა და ინსტიტუტები, სოციალური სტატუსი და როლი, დევიაცია, სოციალური მოქმედება და ურთიერთობა, სოციალიზაცია და ა.შ.

სოციოლოგიის შესავლის სახელმძღვანელო გაითვალისწინებს საერთაშორისო აკადემიურ გამოცდილებას. დღესდღეობით, მსოფლიოში სოციოლოგიის შესავლის რამდენიმე აღიარებული სახელმძღვანელო არსებობს, რომლებიც წარმოიქმნა სოციოლოგიის მეცნიერების განვითარების მიღწევებს. უფრო კონკრეტულად, ეს სახელმძღვანელოებია:

- Introduction to Sociology, Sixth Edition, by George Ritzer (Author), J. Michael Ryan (Author). SAGE Publications, Inc. 2023.
- "Sociology: The Essentials" by Margaret Andersen and Howard Taylor. Published by Cengage Learning, 2019.

- "The Cambridge Handbook of Sociology" (Edited by Kathleen Odell Korgen). Publisher: Cambridge University Press. Print publication year: 2017.
- "The Oxford Handbook of Sociology, Social Theory, and Organization Studies: Contemporary Currents" (Edited by Paul Adler, Paul du Gay, Glenn Morgan, Michael Reed. Publisher: Oxford University Press, 2014.
- "Sociology: A Global Perspective" by Joan Ferrante. Published by Cengage Learning, 2014.

მითითებული სახელმძღვანელოების გათვალისწინება აუცილებელია, რათა ქართული ვარიანტი იყოს აკადემიურად რელევანტური.

სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ სოციოლოგიის მიმართულების პროფესორები, მათი კვალიფიკაციიდან და სპეციალიზაციიდან გამომდინარე. სახელმძღვანელო იქნება ორიგინალური, რაც იმაში გამოიხატება, რომ მასში გამოყენებული ემპირიული მასალა დაერყდნობა ლოკალური - საქართველოს - პრაქტიკების კვლევას. შესაბამისად, სტუდენტებისთვის უფრო გასაგები იქნება სოციოლოგიური მიდგომების კავშირის ცდასთან (გამოცდილებასთან). ამავე დროს, საქართველოს სინამდვილით ანალიზით გამდიდრებული სახელმძღვანელო იქნება უფრო საინტერესო და ინტელექტუალურად მაპროვოცირებელიც.

სოციოლოგიის შესავლის სახელმძღვანელო სტუდენტებს დაეხმარება “სოციოლოგიური წარმოსახვის” განვითარებაში და, ძირითადი სოციოლოგიური პარადიგმებისა და მიდგომების შუქზე, ჩამოუყალიბებს თანამედროვე საზოგადოებაში არსებული პრობლემების კვლევისა და ანალიზის უნარს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს შექნილი ცოდნა გამოიყენონ აკადემიური თუ პრაქტიკული მუშაობის დროს.

2024-25 სასწავლო წელს შეიქმნება სოციოლოგიის შესავლის პირველი ნაწილი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 200 გვერდს, ხოლო მომდევნო აკადემიურ წელს დაიწერება სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი. ასეთი დაყოფა განპირობებულია სახელმძღვანელოსთვის გამოყოფილი ფინანსური მოცულობიდან და გვერდების სავალდებულო რაოდენობიდან გამომდინარე.

სახელმძღვანელოს ეყოლება სამეცნიერო რედაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი თავები იყოს ურთიერთთავსებადი და შემავსებელი; ასევე, სახელმძღვანელოში დაბალანსდეს მისი სტრუქტურული ნაწილების მოცულობა და თავიდან იქნეს აცილებული გადაფარვები და დუბლირება.

სოციოლოგიის შესავლის სახელმძღვანელოს სავარაუდო სარჩევი

- სოციოლოგიის ძირითადი ცნებები (ამირან ბერძენიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლაშა მათიაშვილი, კახა ქეცბაია)
- ძირითადი სოციოლოგიური თეორიები (ამირან ბერძენიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლაშა მათიაშვილი, კახა ქეცბაია)
- დარგობრივი სოციოლოგიები (ლელა გაფრინდაშვილი, ანა დიაკონიძე, შორენა თურქიაშვილი, კახა ქეცბაია, ლია წულაძე)
- რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (ნინო ღურგლიშვილი, ლია წულაძე)
- თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (ნათელა დონაძე, ნინო ღურგლიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლია წულაძე)

ლიტერატურის ჩამონათვალი, რომლის ბაზაზე იქმნება სახელმძღვანელო:

- Introduction to Sociology, Sixth Edition, by George Ritzer (Author), J. Michael Ryan (Author). SAGE Publications, Inc. 2023.
- "Sociology: The Essentials" by Margaret Andersen and Howard Taylor. Published by Cengage Learning, 2019.
- "The Cambridge Handbook of Sociology" (Edited by Kathleen Odell Korgen). Publisher: Cambridge University Press. Print publication year: 2017.
- "The Oxford Handbook of Sociology, Social Theory, and Organization Studies: Contemporary Currents" (Edited by Paul Adler, Paul du Gay, Glenn Morgan, Michael Reed. Publisher: Oxford University Press, 2014.
- "Sociology: A Global Perspective" by Joan Ferrante. Published by Cengage Learning, 2014.

სახელმძღვანელოს სავარაუდო გვერდების რაოდენობა: 210 გვერდი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს –
სალომე დონდუას,
ამავე ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების
პროფესორის სალომე ნამიჭეიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო სალომე,

მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ჩემი განცხადება ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე, უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსის ფარგლებში წარმოვადგენ წინადადებას ახალი სახელმძღვანელოს შესაქმნელად.

განცხადებას თან ერთვის დოკუმენტი (დანართი #1), რომელშიც მოცემულია შემდეგი:
ბ) სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია;
გ) სავარაუდო სარჩევი;
დ) ლიტერატურის ჩამონათვალი;
ე) სახელმძღვანელოს სავარაუდო გვერდების რაოდენობა.

პატივისცემით,



სალომე ნამიჭეიშვილი, ასოცირებული პროფესორი

30.09.2024

განმცხადებელი: სალომე ნამიჭეიშვილი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით ასოცირებული პროფესორი

სახელმძღვანელოს ტიპი: ახალი სახელმძღვანელო

სახელმძღვანელოს სახელწოდება: სოციალური მუშაობის შესავალი

სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია:

სახელმძღვანელო ბაკალავრიატის საფეხურის „სოციალური მუშაობის შესავლის“ კურსისთვისაა განკუთვნილი. აღნიშნული კურსი სოციალური მუშაობის სტუდენტებისთვის სავალდებულოა, ხოლო სხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის – საფაკულტეტო არჩევითი. კურსზე ყოველწლიურად დაახლოებით 400 სტუდენტი რეგისტრირდება (შემოდგომის სემესტრში – 250, ხოლო გაზაფხულის სემესტრში – 150).

კურსისთვის, სამწუხაროდ, არ არსებობს აკადემიური სახელმძღვანელო. ძირითადი საკითხავი მასალა მოიცავს 20 წლის წინ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ შექმნილ სატრენინგო მასალების კრებულს, რომელიც ამჟამად უკვე მოძველებული და სასწავლო მასალიდან ამოსაღებია.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს თანამედროვე და აკადემიურად გამართული სახელმძღვანელო ჰქონდეთ, რომელიც მათ სოციალური მუშაობის პროფესიის შესახებ საბაზისო ცოდნის მიღებაში დაეხმარება.

სოციალური მუშაობა საქართველოში ახალბედა პროფესია და პრაქტიკაა, თუმცა ბოლო 20 წლის მანძილზე პროფესიის განვითარების კუთხით ძირეული ნაბიჯები გადაიდგა. მიუხედავად არსებული მიღწევებისა და გამოწვევებისა, სოციალურ მუშაობას დიდი პოტენციალი აქვს საქართველოში და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

სახელმძღვანელო წარმოადგენს რესურს იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც სურთ, სოციალური მუშაობის დისციპლინის ასპექტები შეისწავლონ ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში.

სახელმძღვანელო განიხილავს სოციალური მუშაობის ფუნდამენტურ ცნებებს, პრინციპებსა და პრაქტიკებს, რომლებიც საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი სოციალური კონტექსტის ანალიზს ეფუძნება. ეს მიდგომა

სტუდენტებს ეხმარება, გაიაზრონ, თუ როგორ ადაპტირდება სოციალური მუშაობა განსხვავებულ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოში.

სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის პროფესიის ფართო მიმოხილვას გვთავაზობს. სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის ისტორიის გაცნობით იწყება. განხილულია არა მხოლოდ ამ პროფესიის განვითარება გლობალურ კონტექსტში, არამედ საქართველოშიც მისი დანერგვის თავისებურებებიც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, პროფესიის ევოლუცია ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით აღიქვან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური მუშაობის განხორციელების დონეებს – მიკრო (ინდივიდებთან მუშაობა), მეზო (ჯგუფებთან მუშაობა) და მაკრო (საზოგადოებრივ და სისტემურ დონეზე ჩარევა), რაც სტუდენტებს ეხმარებათ, გაიგონ, თუ როგორ მუშაობს სოციალური მუშაკი სხვადასხვა კონტექსტში.

სახელმძღვანელო, ასევე, განიხილავს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც თანამედროვე სოციალური მუშაობის ფილოსოფიასა და პრაქტიკაში ცენტრალური პარადიგმაა. სახელმძღვანელო ავითარებს იდეას, რომ სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ ადამიანის უფლებების დაცვის ქომაგები, რაც გულისხმობს დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებთან მუშაობას სოციალური ცვლილებების მისაღწევად.

სახელმძღვანელოში ყურადღებაა გამახვილებული სოციალური მუშაობის ძირითად თეორიებსა და პროფესიის ღირებულებებზე. თეორიული და ღირებულებითი განზომილება მნიშვნელოვანია, რადგან ის სოციალური მუშაობის მორალურ და პროფესიულ ჩარჩოს ქმნის.

სახელმძღვანელო, ამასთანავე, სოციალური მუშაობის მეთოდებსა და ინტერვენციებს აღწერს და სოციალური მუშაობის მომსახურების მიმღებებთან კომუნიკაციის სტრატეგიებსა და თანამშრომლობით პროცესში მათი ჩართულობის საკითხებს უღრმავდება.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი ასპექტი სოციალური მომსახურებისა და სოციალური მუშაობის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების განხილვაა. ყურადღება გამახვილებულია სოციალური მომსახურების სპეციფიკაზე, მის როლზე საზოგადოებაში და სოციალური მუშაკის ჩართულობის მნიშვნელობაზე ამ პროცესებში.

დამატებით, სახელმძღვანელო განიხილავს სოციალური მუშაობის როლს სხვადასხვა სფეროსა და განსხვავებულ მიზნობრივ ჯგუფებთან. სახელმძღვანელო ეხება სხვადასხვა ჯგუფთან მუშაობას, მათ შორის ბავშვებთან, ახალგაზრდებთან,

ოჯახებთან, ხანდაზმულებთან, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, უმცირესობების წარმომადგენლებთან, ასევე, ინდივიდებთან, რომლებიც აწყდებიან გამოწვევებს, როგორებიცაა: ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები, შეზღუდული შესაძლებლობები, დამოკიდებულებები, ძალადობა, სიღარიბე, და ა.შ.

სახელმძღვანელო სოციალური მუშაობის თეორიული საფუძვლების გარდა, პრაქტიკულ მიდგომებსაც მოიცავს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, უკეთ გაიგონ სოციალური მუშაობის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებაში.

ამასთან, სახელმძღვანელო გამდიდრებულია სოციალური მუშაობის დარგის კავშირებით ისეთ დისციპლინებთან, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვა პოლიტიკური მეცნიერებები, რაც სტუდენტებს უფრო კომპლექსურ ცოდნას სთავაზობს. ინტერდისციპლინური ხედვა სტუდენტებს ეხმარება, უკეთ აღიქვან სოციალური მუშაობის გავლენა და მისი მნიშვნელობა სოციალურ პროცესებში.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო სრულად მოიცავს „სოციალური მუშაობის შესავლის“ კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებს და დამატებით განიხილავს უფრო მრავალფეროვან მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის თავისებურებებს, ვიდრე ამჟამინდელი სილაბუსი ითვალისწინებს.

ავტორთა ჯგუფი:

1. სალომე ნამიჭეიშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის დოქტორი
2. ნინო შატბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის დოქტორი
3. ნათია ფარცხალაძე, ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის დოქტორი
